

საქართველოს
ახალგაზრდა მწვანეები



შინაგანაწესი

მიღებული:
თებერვალი 2019

რუსთავი

1. შესავალი

- 1.1. შინაგანაწესი არის წესდების დამხმარე დოკუმენტი.
- 1.2. შინაგანაწესი არის ს.ა.მ-ის ორგანიზაციული სტრუქტურისა და პროცედურების გზამკვლევი.
- 1.3. თუ შინაგანაწესის რამე დეტალი წინააღმდეგობაში მოდის წესდებასთან, ის უნდა შეიცვალოს.

2. წევრების მიღებისა და გარიცხვის პროცედურები

- 2.1 ს.ა.მ-ის წევრობის მსურველებს აღმასრულებელ კომიტეტთან შეხვედრის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში შეუძლიათ, ოფიციალურად დაადასტურონ წევრობის სურვილი.
- 2.2 ს.ა.მ-ის წევრობის მსურველებს წევრობის დადასტურებამდე შეუძლიათ, დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ ს.ა.მ-ის ყველა შეხვედრასა თუ აქტივობაში.
- 2.3 წევრობის დადასტურება უნდა მოხდეს ს.ა.მ-ის ოფიციალურ მეილზე ან/და ოფისის თანამშრომლების მეილზე მიწერილად.
- 2.4 თუ წევრობის მსურველი არ დაადასტურებს წევრობის სურვილს, მას არ მიენიჭება ს.ა.მ-ის წევრობა.
- 2.5 წევრის სტატუსის მიღების შემდეგ ახალი წევრი 6 თვის განმავლობაში ვალდებულია, გადაიხადოს საწევრო გადასახადი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუწყდება წევრის სტატუსი.
- 2.6 თუ ახალმა წევრმა წევრის სტატუსი მიიღო წლის მეორე ნახევარში, ის ვალდებულია, საწევრო გადაიხადოს გენერალურ ასამბლეამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეეძლება, მონაწილეობა მიიღოს გენერალურ ასამბლეაში, მაგრამ არ შეეძლება გენერალურ ასამბლეაზე ხმის მიცემა.
- 2.7 ს.ა.მ-ის არსებულმა წევრებმა საწევრო გადასახადი უნდა გადაიხადონ გენერალური ასამბლეის ჩატარებიდან 6 თვის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეუჩერდებათ ორგანიზაციის წევრის სტატუსი.
- 2.8 განსაკუთრებული შემთხვევების დროს აღმასრულებელი კომიტეტი უფლებას იტოვებს, წევრი გაათავისუფლოს გადასახადისგან.
- 2.9 ორგანიზაციის წევრის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში წევრს აქვს უფლება, მიღებული გადაწყვეტილება ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს.
- 2.10 გენერალური ასამბლეიდან გენერალურ ასამბლეამდე წევრობიდან გარიცხვის გადაწყვეტილების გასაჩივრებას განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტი.
- 2.11 გასაჩივრება აღმასრულებელმა კომიტეტმა გასაჩივრების დღიდან ორი კვირის განმავლობაში უნდა განიხილოს.
- 2.12 წევრობიდან გარიცხვის კანდიდატ წევრს შეუძლია, მოითხოვოს მისი წევრობიდან გარიცხვის განხილვა გენერალურ ასამბლეაზე. ამ შემთხვევაში, საკითხი მისი გარიცხვის შესახებ გადაწყდება უახლოეს გენერალურ ასამბლეაზე. მანამდე წევრს შეუჩერდება ს.ა.მ-ის წევრობის სტატუსი. სტატუსის აღდგენის გადაწყვეტილება მიიღება გენერალურ ასამბლეაზე დამსწრე წევრების ხმათა ორი მესამედით.

3 გენერალური ასამბლეის წესები და პროცედურა

- 3.1 გენერალური ასამბლეა ს.ა.მ-ის გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ორგანოა. გენერალურ ასამბლეას ს.ა.მ-ის წევრების მინიმუმ ერთი მესამედი უნდა ესწრებოდეს, რომ ის ჩაითვალოს ლეგიტიმურად.
- 3.2 გენერალური ასამბლეის პროცედურული წესები წარდგენილი უნდა იქნას ასამბლეის

დანყებამდე.

3.3 გენერალური ასამბლეა დასაწყისში ირჩევს წამყვანს, რომელსაც ს.ა.მ-ის წევრობის შემთხვევაში ხმის მიცემის უფლება აქვს.

4 გენერალური ასამბლეის გამოცხადება და მომზადება

4.1 გენერალური ასამბლეის ზუსტ თარიღს ირჩევს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც მინიმუმ 35 დღით ადრე უნდა გამოქვეყნდეს და წერილობითი სახით ეცნობოს ს.ა.მ-ის წევრებს.

4.2 გენერალური ასამბლეის პროგრამა მზადდება აღმასრულებელი კომიტეტის მიერ და ასამბლეამდე მინიმუმ 14 დღით ადრე უნდა გამოქვეყნდეს და წერილობითი სახით ეცნობოს ს.ა.მ-ის წევრებს.

4.3 ს.ა.მ-ის წევრებმა გენერალურ ასამბლეამდე მინიმუმ 14 დღით ადრე უნდა აცნობონ აღმასრულებელ კომიტეტს დასწრების შესახებ.

4.4 აღმასრულებელი კომიტეტი გენერალურ ასამბლეას ურჩევს აღმასრულებელი კომიტეტის წევრების რაოდენობას. ასამბლეა წევრების რაოდენობას წყვეტს ხმათა ორი მესამედი უმრავლესობით.

4.5 დელეგატებს შეუძლიათ ნებისმიერი საკითხისა და ცვლილების ინიცირება როგორც გენერალურ ასამბლეამდე, ისე გენერალურ ასამბლეაზე. გენერალური ასამბლეის დაწყებისთანავე ხდება დღის წესრიგის განხილვა და დამტკიცება გენერალური ასამბლეის ხმათა ორი მესამედის მიერ.

5 ხმის მიცემა და არჩევნები

5.1 გენერალურ ასამბლეაზე ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ ს.ა.მ-ის წევრებს, ერთ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

5.2 გენერალური ასამბლეის დაწყებისთანავე ხმათა ორი მესამედი უმრავლესობით ირჩევა ხმის მიცემის პროცედურის ღია ან ფარული ფორმა. გარდა აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნებისა, რომელიც აუცილებლად უნდა ტარდებოდეს ფარული კენჭისყრით.

5.3 ხმის მიცემის უფლების მქონე ყველა წევრს უნდა ჰქონდეს ხმის მიცემის ბარათები.

5.4 ხმის მიცემის სამი ვარიანტი არსებობს: ვეთანხმები, არ ვეთანხმები ან თავს ვიკავებ.

5.5 თუ ცვლილებისთვის ხმის მიცემის პროცესში გენერალურ ასამბლეაზე დამსწრე წევრთა მარტივი უმრავლესობა (50%+1) ხმის მიცემისგან თავს იკავებს, წარდგენილი ცვლილების განხილვა და მისთვის ხმის მიცემა უნდა განმეორდეს.

5.6 წესდებაში ცვლილებების შესატანად და აღმასრულებელი კომიტეტის ასარჩევად საჭიროა ხმათა ორი მესამედი უმრავლესობა.

5.7 შინაგანაწესში ცვლილებების შესატანად საჭიროა ხმათა მარტივი უმრავლესობა.

6 აღმასრულებელი კომიტეტი

6.1 ს.ა.მ-ის ნებისმიერ წევრს აქვს უფლება, წამოაყენოს თავისი კანდიდატურა აღმასრულებელი კომიტეტის წევრობაზე.

6.2 აღმასრულებელი კომიტეტი იკრიბება არა უმცირეს ორჯერ თვეში.

6.3 აღმასრულებელი კომიტეტის თითოეული შეხვედრის ოქმი წერილობითი სახით უნდა გადაეცეს ს.ა.მ-ის წევრებს 4 დღის ვადაში.

6.4 აღმასრულებელი კომიტეტი აკონტროლებს ორგანიზაციაში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას, წესდებისა და შინაგანაწესის მუხლების აღსრულებას, მოითხოვს ოფისის თანამშრომლებისგან საქმის კეთილსინდისიერად შესრულებას. აქვს უფლება, მოითხოვოს ოფისის თანამშრომლებისგან ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, ფინანსურიც) ოფისისა და ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

6.5 აღმასრულებელი კომიტეტი მეთვალყურეობს ოფისის თანამშრომლების საქმიანობას.

6.6 აღმასრულებელი კომიტეტის წევრის მანდატის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია, გააკეთოს ღია განცხადება ვაკანტური ადგილის თაობაზე. არჩეული კანდიდატი პოზიციას დაიკავებს კომიტეტის მიერ გადანყვეტილების მიღებისთანავე მომავალი გენერალური ასამბლეის ჩატარებამდე.

6.7 აღმასრულებელი კომიტეტის წევრის მანდატი ვადამდე წყდება:

- პირადი განაცხადის საფუძველზე;
- გარდაცვალების შემთხვევაში;
- სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ცნობის შემთხვევაში;
- სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში;
- ორგანიზაციის პოლიტიკურ პლატფორმასთან შეუსაბამოდ ქცევის შემთხვევაში;
- წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

6.8 აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია, ყოველთვიური ანგარიში მომდევნო თვის პირველ კვირაში წარუდგინოს ს.ა.მ-ის წევრებს წერილობითი სახით.

6.9 აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს წევრების ინფორმირება ორგანიზაციაში არსებული წესების შესახებ.

6.10 ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას არ იღებენ აღმასრულებელი კომიტეტის ის წევრები, რომელთაც უშუალოდ ეხებათ გადანყვეტილების შედეგები.

7 ოფისი

7.1 „ახლაგაზრდა მწვანეების“ ყოველდღიურ ორგანიზაციულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი არის ს.ა.მ-ის ოფისი.

7.2 ოფისის ნებისმიერ თანამშრომელს ირჩევს აღმასრულებელი კომიტეტი ღია განცხადების საფუძველზე.

7.3 ორგანიზაციის მიერ მოპოვებული ნებისმიერი გრანტის კოორდინატორი არის ს.ა.მ-ის დასაქმებული, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე.

7.4 ოფისის თანამშრომლების უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები მითითებულ უნდა იქნას შრომით ხელშეკრულებაში.

7.5 ოფისის დაქირავებული თანამშრომელი უნდა იყოს ს.ა.მ-ის წევრი.

7.6 თუ ოფისის თანამშრომელი გადის ქვეყნიდან, მან წინასწარ უნდა აცნობოს ორგანიზაციის წევრებსა და აღმასრულებელ კომიტეტს.

7.7 ოფისის თანამშრომლებმა შვებულების აღება უნდა შეათანხმონ აღმასრულებელ კომიტეტთან.

7.8 ოფისის თანამშრომელმა თანამდებობიდან წასვლის თაობაზე წინასწარ, ერთი თვით ადრე უნდა განაცხადოს გარდა გამოჩაკლისი შემთხვევებისა, რომელიც უნდა გაეცნოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს.

7.9 ოფისის თანამშრომელი ვალდებულია, ორი კვირის განმავლობაში გადააბაროს და დაეხმაროს ახალ თანამშრომელს საკუთარი მოვალეობის შესრულებაში.

8 მომსახურების გამწევი პირები

8.1 მომსახურების გამწევი პირები შეიძლება, იყვნენ როგორც ორგანიზაციისა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, ასევე არაწევრი ფიზიკური და იურიდიული პირები.

8.2 მომსახურების გამწევ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ფორმდება მომსახურების ერთჯერადი ხელშეკრულება.

8.3 ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, გადანყვეტილების მიღების

პროცესში მონაწილეობას არ იღებენ გამოცხადებული პოზიციის კანდიდატები.
8.4 პროექტში დასაქმებაზე გადანყვეტილებას იღებს პროექტის იდეის გარშემო შექმნილი საინიციატივო ჯგუფი.

9 ოფიციალური დოკუმენტები და ფინანსების კონტროლი

9.1 სალაროდან ფულის გასვლა/შემოსვლა კონტროლდება ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარის მიერ და ფიქსირდება ოფიციალურ დოკუმენტში (ოფლაინ და/ან ონლაინ) ოფისის კოორდინატორისა და თანხის გამტანი ან შემომტანი პირების ხელმოწერების თანხლებით.

9.2 ორგანიზაციის სახელით გაგზავნილ ყველა დოკუმენტსა და ოფიციალურ წერილს უნდა ჰქონდეს საერთო ფორმატი, რომლის შეცვლა შესაძლებელია აღმასრულებელი კომიტეტისა და ოფისის თანამშრომლის სიტყვიერი შეთანხმებით.

10 პარტნიორი ორგანიზაციები

10.1 სხვადასხვა ორგანიზაციებთან პარტნიორობის დამტკიცება ხდება აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წევრებთან კონსულტაციის საფუძველზე.

10.2 პარტნიორი ორგანიზაცია წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ს.ა.მ-ის ძირითად ღირებულებებთან.

10.3 პარტნიორ ორგანიზაციებსა თუ ფონდებთან კომუნიკაცია უნდა ხდებოდეს ორგანიზაციის ოფიციალური საკონტაქტო საშუალებებით აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. საჭიროების შემთხვევაში, აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია, აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირება მოახდინოს ს.ა.მ-ის ოფისზე.

